www.auditescort.ge

ხელშეკრულება აუდიტორული მომსახურების

გაწევაზე №07

საქართველო
(დასახლებული პუნქტი)

„11" იანვარი 2013 წ.
(თარიღი)

ინდ. მეწ. იან ბოგბოლაძე 46 37001014520
(ფიზიკური ან იურიდიული პირის დასახელება)

რომელსაც წარმოადგენს აყოლოლი იან ბოგბოლაძე
(სახელი, გვარი, თანამდებობა)

შემდგომში „აუდიტორად" წოდებულმა, ერთის მხრივ და სპორტ საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ლიგა. საზოგადო სან

ილობო ორგანო.
(ფიზიკური ან იურიდიული პირის დასახელება)

რომელსაც წარმოადგენს თინათინი ჭყონია
(სახელი, გვარი, თანამდებობა)

შემდგომში „კლიენტად" წოდებულმა, მეორეს მხრივ, დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. კლიენტი ავალებს, ხოლო აუდიტორი კისრულობს ჩაატაროს აუდიტორული შემოწმება და მისი შედეგების მიხედვით მისცეს დასკვნა.

1.2. შესამოწმებელ საგანს წარმოადგენს - ქონების შეფასება

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. აუდიტორი ვალდებულია:

2.1.1. დაიწყოს კლიენტის შემოწმება არა უგვიანეს „11" იანვარი 2013 წ.

2.1.2. დაიცვას კლიენტის საწარმოში დადგენილი წესები.

2.1.3. შემოწმების დასრულების შემდეგ წარუდგინოს კლიენტს აუდიტორული დასკვნა ხელშეკრულების N _____ დანართში მითითებული ფორმით მხარეების მიერ გაწეული მომსახურების აქტის ხელმოწერის შემდეგ.

2.1.4. კლიენტისათვის კონსულტაციების მიცემის და კლიენტის შემოწმებისას გამოიყენოს კანონიერი მეთოდები და საშუალებები, იხელმძღვანელოს მოქმედი კანონმდებლობით.

2.1.5. არ გაახმაუროს შემოწმების პროცესში მიღებული ინფორმაცია და მონაცემები, რომლებიც წარმოადგენენ კონფიდენციალური ხასიათის ინფორმაციას, ან არის კლიენტის კომერციული საიდუმლო.

2.1.6. დაამთავროს შემოწმება „15" იანვარი 2013 წ.

2.2. კლიენტი ვალდებულია:

2.2.1. გადასცეს აუდიტორს ყველა აუცილებელი დოკუმენტი, რომელთა ნუსხასაც წარუდგენს აუდიტორი წერილობით მოთხოვნაში შემოწმების დაწყებამდე.

2.2.2. გამოყოს სამუშაო ადგილი აუდიტორის თანამშრომლებისთვის საჭირო მოწყობილობებით ამ სახის სამუშაოს ჩასატარებლად.

2.2.3. აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს აუდიტორის თანამშრომლებისთვის განმარტებების მიცემის დროს თავის თანამშრომლების დასწრება.

2.2.4. დროულად აანაზღაუროს აუდიტორის მომსახურება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. აუდიტორის მიერ ამ ხელშეკრულებით გაწეული მომსახურება შეადგენს 70 (სამოცდაათი) ლარს.

3.2. ანაზღაურება უნდა მოხდეს კლიენტის მიერ ანგარიშის მიღებიდან 5 დღის განმავლობაში აუდიტორის ანგარიშზე ფულადი სახსრებით გადარიცხვის გზით.

3.3. ანგარიში უნდა იყოს წარდგენილი გაწეული მომსახურების აქტზე ორივე მხარის მიერ ხელის მოწერის შემდეგ 5 (ხუთ) დღის განმავლობაში. აქტი ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. მომსახურების საფასურის გადახდის დაგვიანებისთვის კლიენტი ვალდებულია გადაუხადოს აუდიტორს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0,06 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

4.2. აუდიტორის მიზეზით კლიენტისთვის დასკვნის გადაცემის დაგვიანებისთვის აუდიტორი იხდის პირგასამტეხლოს მომსახურების სრული საფასურის 0,06 %-ის ოდენობით.

4.3. სხვა შემთხვევებში ამ ხელშეკრულებით თავისი მოვალეობების შეუსრულებლობისთვის ან არასათანადო შესრულებისთვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. დავათა გადაჭრა

5.1. დავები მხარეებს შორის უნდა გადაიჭრას მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

6. დასკვნითი დებულებები

6.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ყველა ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

6.2. ამ ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება უნდა შესრულდეს იმავე ფორმით, როგორც თვით ხელშეკრულებაა და ხელმოწერილი უნდა იქნეს ორივე მხარის მიერ.

6.3. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორ) ეგზემპლარად თითოეული მხარისთვის და მათ აქვთ ერთნაირი იურიდიული ძალა.

7. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

აუდიტორი	კლიენტი
[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]